

საქართველოს საჯარო სკოლების დაფინანსების სისტემა

ელენე მშვილდაძე

ნინო ლაზუაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბერიკა შუკაკიძე, განათლების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

განათლების სისტემის სრულყოფა ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის, ვინაიდან მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსების გარეშე ქვეყანა ვერ მოახდენს თავის დამკვიდრებას გლობალურ ბაზარზე. სწორედ ამიტომ აუცლებელია, მოხდეს ზოგადი განათლების დაფინანსების სრულყოფილი სტრატეგიის შემუშავება.

ნაშრომის მიზანია ზოგადი განათლების დაფინანსების მოდელების შესწავლა, იმის გარკვევა თუ როგორ ხდებოდა საქართველოში განათლების დაფინანსება სხვადასხვა პერიოდებში, საბჭოთა კავშირიდან დღემდე. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას იმისა, რომ გავიგოთ თუ როგორ ახდენენ საჯარო სკოლები სახელმწიფოს მიერ ზოგადი განათლების დაფინანსებაზე გამოყოფილი ბიუჯეტის ათვისებას და აღნიშნული რამდენად აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე.

ჩატარდა კვლევა, სადაც დაახლოებით 1100 სკოლის მონაცემების საფუძველზე გავანალიზეთ ბაზარზე არსებული სიტუაცია და ვნახეთ თუ როგორ ხდება სკოლებში შემოსავლებისა და ხარჯების გადანაწილება, თუ რამდენად მიზნობრივად ხდება ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვა.

იმისათვის, რომ სრულყოფილად ჩამოგვეყალიბებინა საქართველოს ზოგად განათლებაში არსებული სიტუაცია, ასევე გავანალიზეთ საერთაშორისო გამოცდილება, კვლევის შედეგად გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით ჩავატარეთ ინტერვიუები სფეროს ექსპერტებთან, რის საფუძველზეც ჩამოვაყალიბეთ ის რეკომენდაციები, რაც საჭიროა, სამართლიანი და ადეკვატური განათლების სისტემის მისაღებად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საჯარო სკოლა, სერთიციფირება, ბიუჯეტი, ვაუჩერი.

Abstract

For the development of any country it's essential to have a good educational system, since without having well qualified human resources the country won't be able to compete on a global market. Exactly that is the reason why a good financial strategy is needed for the public schools.

Goal of the paper is to study methods of public school financing in Georgia, as well as to analyze all the ways of financing educational systems of different time periods from Soviet Union to the present reality. It's very important to find out how public schools spend their budgets and if this way of spending somehow influences academic performance of students.

The data of about 1 100 public schools has been analyzed to see the ongoing situation on this market. We saw how schools spend their revenues and whether or not the money they get from the central government is spent fairly.

In order to have more comprehensive description about the financial environment of public schools, we did several other activities such as analyzing international experience and interviewing field experts. Based on all the abovementioned we've generated recommendations that are needed for having fair and adequate educational system.

Key Words: public school, certificates, budget, voucher.